"ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შეკრებილი

საკონკურსო კომისიის
ოქმი #5
დამატებითი დოკუმენტების განხილვა და ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება

სხდომა ჩატარდა სს „ნამახვანის" დირექტორის #ORD-04-1102-1 ბრძანების შესაბამისად "ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, 2015 წლის 12 მარტს 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, მისამართზე ნ. ბარათაშვილის #8, თბილისი.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

გიორგი ჩაჩიბაია (სს „ნამახვანის" დირექტორი) - კომისიის თავმჯდომარე
აკაკი კეჟერაშვილი (მოწვეული სპეციალისტი, სს „ნამახვანის" ყოფილი მთავარი ინჟინერი) - კომისიის წევრი
სოფიო მაჩალაძე (სს „ნამახვანის" უფროსი იურისტი) - კომისიის წევრი

<u>დღის წესრიგი:</u>

"ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების შესყიდვის #1465 კონკურსში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის - შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალი-სთვის (შემდგომში „პრეტენდენტი") კომისიის #4 ოქმის შესაბამისად მოთხოვნილი და წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის განხილვა, ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება.

<u>მიმდინარეობა:</u>

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაჩიბაიამ განაცხადა, რომ პრეტენდენტმა წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები კომისიის სხდომის #4 ოქმში მითითებულ ვადაში. კომისიამ განიხილა დოკუმენტაცია და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: მატერიალური ბაზის ძირითადი ნაწილი არის შპს „საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი" (შემდგომში „ქვემონარდე") საკუთრება/იჯარა, რომელიც შემოთავაზებულ იქნა პრეტენდენტის მიერ როგორც ქვემონარდე გარკვეულ სამუშაოებში. დანარჩენი დოკუმენტაცია დამაკმაყოფილებელია.

დეტალური ინფორმაცია:

A გამოცდილება		
	სულ მცირე 80 მილიონი ლარის ღირებულების	წარმოდგენილია. ხელშეკრულება დადებულია

	ანალოგიური სირთულის, ხასიათის და შინაარსის საპროექტო მომზადების ან ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მომსახურება. წარმოსადგენია ხელშეკრულება და დოკუმენტი რომელიც ადასტურებს პროექტის ღირებულებას	ბიშკეკ - ოშის გზის გაუმჯობესების პროექტთან დაკავშირებით, ღირებულება - 191 მილიონი აშშ დოლარი. ღირებულება დასაბუთებულია აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტის ანგარიშში, რომლის ლინკიც მითითებულია პრეტენდენტის დამატებითი დოკუმენტაციის - გამოცდილების ცხრილის შენიშვნის სახით და ასევე წარმოდგენილია დამატებით დოკუმენტაციაში. ხელშეკრულების ღირებულება მაქს. 974, 700 აშშ დოლარი.
	ამავე პროექტში განცორციელებული სულ მცირე 820 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სირთულის, ხასიათის და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	წარმოდგენილია სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ სრულად შესრულდა სამუშაოები.
B პერსონალი		
	ინფორმაცია გეოდეზისტის შესახებ	წარმოდგენილია
C მოწყობილობა დანადგარები		
ინფორმაცია და უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	გეოლოგიური ლაბორატორია პროგრამული უზრუნველყოფა	ქვემონარდე ქვემონარდე
უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია *(მოცემულია პრეტენდენტის ცხრილის ნუმერაციის მიხედვით)*		
	პუნქტი 1-ის პირველი და მეოთხე მოდელი; პუნქტი 2-ის ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა TRL; პუნქტი 4; პუნქტი 5 - ში ჩამოთვლილი ავტომობილები გარდა ერთისა - ნისან იქსტერა.	ქვემონარდე პრეტენდენტი ქვემონარდე/პრეტენდენტი ქვემონარდე/პრეტენდენტი

ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, კომისიის წევრებმა სათითაოდ მიანიჭეს პრეტენდენტს ქულები საკონკურსო განცხადებაში მითითებული წესით. შეფასებები მოცემულია

ოქმის დანართის სახით. სამივე შეფასების შედეგად კომისიის თავმჯდომარემ დათვალა საშუალო არითმეტიკული ქულა, რამაც შეადგინა 6,5.

კომისიამ დაადგინა:

შპს „კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის“ ტექნიკური დოკუმენტაცია შეფასდა 6,5 ქულით.

შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალი მოწვეულ იქნას ფინანსური კონვერტის გახსნაზე 2015 წლის 13 მარტს, 10:00 საათზე, მის.: ნ. ბარათაშვილის #8, სართული 4, თბილისი.

გიორგი ჩაჩიბაია	სოფიო მაჩალაძე	აკაკი კეჟერაშვილი

“ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრის, სოფიო მაჩალაძის მიერ შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება

თარიღი: 2015 წლის 12 მარტი

კონკურსანტის გამოცდილება		კოეფიციენტი	ქულა	შეფასება
მათ შორის:	ტექნიკური აღჭურვილობა	0,1	7	0,7
	კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება	0,25	10	2,5
	ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება	0,35	10	3,5
	ჯამი	0,7		6,7

სოფიო მაჩალაძე

“ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრის, აკაკი კეჟერაშვილის მიერ შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება

თარიღი: 2015 წლის 12 მარტი

კონკურსანტის გამოცდილება		კოეფიციენტი	ქულა	შეფასება
მათ შორის:	ტექნიკური აღჭურვილობა	0,1	6	0.6
	კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება	0,25	10	2.5
	ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება	0,35	10	3.5
	ჯამი	0,7		6.6.

აკაკი კეჟერაშვილი

“ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაჩიბაიას მიერ შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება

თარიღი: 2015 წლის 12 მარტი

კონკურსანტის გამოცდილება		კოეფიციენტი	ქულა	შეფასება
მათ შორის:	ტექნიკური აღჭურვილობა	0,1	8	0,8
	კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება	0,25	9	2,25
	ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება	0,35	9	3,15
	ჯამი	0,7		6,2

გიორგი ჩაჩიბაია